# საქართველო

## სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.:(0413 27 57 97, Fax.:(0413 275211
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-
sakrebulo.ge

№ 27

06 თებერვალი 2018 წელი

### ადმინისტრაციული საჩივრის ფორმის დამტკიცების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტის, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 52-ე მუხლის, და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №117-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ადმინისტრაციული საჩივრის ფორმა თანდართული დანართის №1 შესაბამისად.
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს - საკრებულოს აპარატის უფროსს - ვეფხვია რუსიას.
3. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის: ქ. სენაკი. რუსთაველის ქ №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

კახაბერი რუსია

* 239889705 *

(ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც შეიტანება ადმინისტრაციული საჩივარი)

(ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა, მისამართი და ტელეფონი)

(წარმომადგენლის ვინაობა (არსებობის შემთხვევაში), მისამართი და ტელეფონი)

(იმ ადმინისტრაციული ორგანოს/პირის დასახელება, მისამართი, რომლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მოქმედება საჩივრდება)

## ადმინისტრაციული საჩივარი

(საჩივრის თემა)

გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელება, რეკვიზიტები/გასაჩივრებული ქმედების დასახელება

საჩივრის შემტანის მოთხოვნა, მისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები:

გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა:

ადმინისტრაციულ საჩივარზე დართული საბუთების ნუსხა, თუ საჩივარს რაიმე დოკუმენტი დაერთვის:

1. ______________________
2. ______________________
3. ______________________
4. ______________________
5. ______________________
6. ______________________

საჩივრის შეტანის თარიღი ____________________

საჩივრის შემტანის/წარმომადგენლის ხელმოწერა ____________________

შენიშვნა:

1. საჩივარი აუცილებლად შედგენილი უნდა იყოს წერილობით (ნაბეჭდი ფორმით) და აკმაყოფილებდეს ამ ფორმის მოთხოვნებს;
2. საჩივარი არ განიხილება თუ:
   - არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე დავის საგანზე იმავე მხარეებს შორის;
   - სასამართლოს წარმოებაშია საქმე იმავე დავის საგანზე იმავე მხარეებს შორის;
   - გასულია საჩივრის წარდგენის ვადა.